

**შეტყობინება მერვე  
დმერთის სახლმშენებლობა მის დარიგებასთან ერთად  
იერებია წინასწარმეტყველის წიგნში**

ადგილები წერილიდან: იერ. 2:13; 15:16; 17:7-8, 19-27; 23:5-6; 31:31-34; ებრ. 8:8-12

- I. იერ. 17:7-8-ში ნათქვამია: „კურთხეულია ადამიანი, რომელიც დაიმედებულია იქოვაზე და ომლის საყრდენიც არის – იქოვა. წყლის პირას გადარგული ხესავით იქნება, წყაროსკენ გაიდგამს ფესვებს და გვალვის დადგომა არ შეაშინებს; ფოთლები ამწვანებული ექნება, გვალვიანი წელიწადი ვერაფერს დააკლებს და ნაყოფი არ გამოელევა“:

ა. ეს მუხლები შეიძლება გავიგოთ ორი სხვადასხვა აზრით: ბუნებრივი წარმოდგენის თანახმად ან დმერთის სახლმშენებლობის თანახმად; ამ მუხლებში საუბარია არა ისეთ ზედაპირულ საკითხე, როგორიც არის ადამიანის მიერ მატერიალური კურთხევების მიღება იმის შედეგად, რომ ის დაიმედებულია დმერთზე; სინამდვილეში ეს მუხლები მიუთითებენ დმერთის სახლმშენებლობაზე, რომელიც ხორციელდება დმერთის დარიგების მეშვეობით:

1. გამოცხადება აქ გვიჩვენებს, რომ, დმერთის სახლმშენებლობის თანახმად, ის, ვინც დაიმედებულია დმერთზე, პგავს ხეს, დარგულს წყალთან, რომელიც ადნიშნავს დმერთს როგორც ცოცხალი წყლების სათავეს (2:13ა); ერთი მხრივ, ჩვენ ვენდობით დმერთს, მაგრამ მეორე მხრივ, თვითონ დმერთი არის ჩვენი ნდობა დმერთზე.
  2. ხე იზრდება წყალთან, იწოვს თავის თავში წყლის მთელ სიმდიდრეს; ეს არის დმერთის დარიგების სურათი; იმისათვის, რომ მივიღოთ დვთაგბრივი დარიგება, ჩვენ როგორც ხეებმა უნდა შეგიწოვოთ დმერთი როგორც ცოცხალი წყალი, რათა დმერთი დარიგდეს ჩვენს არსებაში, და გახდეს ჩვენი შემადგენელი ელემენტი.
- ბ. აქ ჩვენ ვხედავთ იმავე აზრს, რასაც 1 კორ. 3:6-ში, სადაც პავლე ამბობს: „მე დავრგვ, აპოლოსმა მორწყა, მაგრამ დმერთმა გაზარდა“; მორწყვა აუცილებელია ხის მიერ წყლის შეწოვისათვის, ხოლო შეწოვა აუცილებელია დმერთის დარიგების მისაღებად:
1. ხე იზრდება დმერთის როგორც შეწევნის მომცემის და შეწევნის წყალობით; შეწევნა არის შეწევნის მომცემი დმერთის სიმდიდრეები, რომელიც რიგდება ჩვენში როგორ მცენარეში, რათა ჩვენ გავიზარდოთ დმერის ზომის თანახმად; საბოლოოდ მცენარეები და დმერთი, დმერთი და მცენარეები ხდება ერთი, და გააჩნია ერთნაირი ელემენტი, არსი, შემადგენლობა და გარეგნული იერი – კოლ. 2:19.
  2. ჩვენ ყველამ უნდა დავინახოთ, რომ ჩვენთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია შევიწოვოთ დმერთი როგორც ცოცხალი წყალი, რათა შევდგეთ მისი ელემენტით და არსით და გავიზარდოთ დმერთის ზრდით; სადაც არ არის საკმარისი ზრდა სიცოცხლეში, იქ

ქრისტიანული ცხოვრება მორწმუნებისა ხდება მოუწესრიგებელი, ეკლესიური ცხოვრება ზიანდება, ხოლო სხეულის სიცოცხლე ნადგურდება.

3. იმისათვის, რომ გავიზარდოთ სიცოცხლეში ქრისტეს სხეულის ასაშენებლად, ჩვენ უნდა შევიწოვოთ ღმერთი, გავიდგათ ფესვები ღრმად ძირს და მოვიტანოთ ნაყოფები ზემოთ (ესაია 37:31); ეს ადნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს დაფარული ურთიერთობის დრო ღმერთთან (მათე 6:6; 14:22-23); გაძლიერება, გაცისკროვნება, მოსვენებით დატკბობა, სიხარული, რწმენა, პრობლემების გადაწყვეტა, გამარჯვება განსაცდელებზე, ცდუნებებსა და სირთულეებზე, და ასევე ნუგეში, რომელსაც დებულობს ქრისტიანი, – ეს ყველაფერი დამოკიდებულია მის ფარულ ურთიერთობაზე ღმერთთან ლოცვისა და ღმერთის სიტყვის მეშვეობით (დან. 6:10; კოლ. 4:2; 2 ტიმ. 3:14-17).
- II. იერემიას 17:19-27-ში ჩვენ ვხედავთ სიტყვას ღმერთის შაბათის დაცვასთან დაკავშირებით; იმისათვის, რომ დავიცვათ ღმერთის შაბათი, საჭიროა დავტკბეთ ღმერთით, დაგისვენოთ მასში და დაგმაყოფილდეთ მასში როგორც ცოცხალი წყლების სათავეში – 2:13:
- a. გამოსვლის 31:12-17-ში ღმერთის საცხოვრებლის აშენების შესახებ მონათხოვის შემდეგ ჩვენ ვხედავთ შაბათის დაცვის მცნების გამეორებას; კოლ. 2:16-17-სა და მათეს 11:28-30-ის თანახმად, ქრისტე არის შაბათის მოსვენების სინამდვილე – ებრ. 4:7-9; ესაია 30:15ა:
    1. თუ ჩვენ ვიცით მხოლოდ მუშაობა უფლისათვის, და არ ვიცით მასთან ერთად მოსვენება, ჩვენ ვმოქმედებთ დვთაებრივი პრინციპის საწინააღმდეგოდ:
      - ა) ღმერთმა მოისვენა მეშვიდე დღეს, რადგან მან დაასრულა თავისი სამუშაო და დაკმაყოფილდა; ღმერთის დიდება გამოვლინდა, რადგან ადამიანს ჰქონდა ღმერთის სახება და ადამიანი მზად იყო, რომ გამოეყენებინა ღმერთის ძალაუფლება, რათა დაემორჩილებინა ღმერთის მტერი, სატანა; თუ ადამიანი გამოხატავს ღმერთს და იმარჯვებს ღმერთის მტერზე, ღმერთი არის დაკმაყოფილებული და შეუძლია მოსვენება – დაბ. 1:26, 31; 2:1-2.
      - ბ) მოგვიანებით, მეშვიდე დღე იყო დაწესებული როგორც შაბათი (გამ. 20:8-11); ღმერთის მეშვიდე დღე იყო ადამიანის პირველი დღე; მას შემდეგ, რაც შეიქმნა ადამიანი, ის არ შეუერთდა ღმერთის სამუშაოს; ის შევიდა ღმერთის მოსვენებაში.
    2. ადამიანი შეიქმნა არა იმისათვის, რომ ემუშავა თავიდან, არამედ იმისათვის დაკმაყოფილებულიყო ღმერთით და დაესვენა ღმერთთან ერთად; ღმერთის თვალსაზრისით, ეს არის მუშაობისა და დასვენების საკითხი, ხოლო ადამიანის თვალსაზრისით, ეს არის დასვენებისა და მუშაობის საკითხი; ასეთია დვთაებრივი პრინციპი – მას შემდეგ, რაც

ჩვენ სრულად დავტკბებით ღმერთით, ჩვენ შეგვიძლია ვიმუშაოთ  
მასთან ერთად – შდრ. მათე 11:28-30.

- ა) თუ ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ დავტკბეთ თვით ღმერთით და  
როგორ ავიგსოთ ღმერთით, ჩვენ ვერ გავიგებთ, როგორ ვიმუშაოთ  
მასთან ერთად და ვიყოთ ერთი მასთან მის ღვთაებრივ  
სამუშაოში; ადამიანი ტკბება იმით, რაც ღმერთმა აღასრულა  
თავის სამუშაოში.
- ბ) ორმოცდამეათე დღეს მოწაფეები აივხენ სულით, რაც იმას  
ნიშნავს, რომ ისინი აივხენ ქრისტეთი როგორც ზეციური  
ღვინით ტკბობით; მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი აივხენ ამ  
ტკბობით, მათ დაიწყეს ღმერთთან მუშაობა ღმერთთან ერთობაში  
– საქმე. 2:4ა, 12-14.
- ბ. როგორც ღმერთის ადამიანებმა, ჩვენ უნდა ვატაროთ ჩვენზე იმის ნიშანი,  
რომ ჩვენ პირველ რიგში ვისვენებოთ ღმერთთან, ვტკბებით ღმერთით და  
ვივსებით ღმერთით; ხოლო შემდეგ ჩვენ ვმუშაობთ მასთან ერთად, ვინც  
გვავსებს ჩვენ; გარდა ამისა, ჩვენ არ მარტო ვმუშაობთ ღმერთთან – ჩვენ  
ასევე ვმუშაობთ როგორც ისინი, ვინც ერთია ღმერთთან, პყვას ღმერთი  
როგორც თავისი ძალა მუშაობისათვის და როგორც თავისი ენერგია  
შრომისათვის – გამ. 31:13, 17.
- ბ. ეკლესიურ ცხოვრებაში ჩვენ, შესაძლოა, მრავალ რამეს ვაკეთებთ, მაგრამ  
ამასთან ერთად ჩვენ არ ვტკბებით უფლით პირველ რიგში და არ  
ვემსახურებით უფალს, როგორც ერთი მასთან; ასეთ მსახურებას მივყავართ  
სულიერ სიკვდილთან და სხეულში ურთიერთობის დაკარგვასთან – მუხ.  
14-15.
- დ. უფლის სამუშაო ეკლესიის აშენებასთან დაკავშირებით უნდა იწყებოდეს  
ღმერთით ტკბობით, რაც იმას გვიჩვენებს, რომ ჩვენ ვმუშაობთ  
ღმერთისათვის არა საკუთარი ძალით, არამედ ღმერთით ტკბობის  
მეშვეობით და როგორც ერთნი მასთან; აი რას ნიშნავს შაბათის  
პრინციპის დაცვა ქრისტესთან როგორც შინაგან მოსვენებასთან ერთად  
ჩვენს სულში – 1 კორ. 3:9; 15:58; 16:10; 2 კორ. 6:1ა.
- III. იერემია წინასწარმეტყველის წიგნი არის მოკლე მოთხოვბა მთელი ბიბლიის:  
იერემიას წინასწარმეტყველება მიუთითებს იმაზე, რომ მხოლოდ ქრისტეს  
შეუძლია შეასრულოს ღმერთის სახლმშენებლობა და მხოლოდ ქრისტე არის  
პასუხი ღმერთის მოთხოვნებზე თავის სალმშენებლობაში; იერემიას მიერ  
აღწერილი სურათი გვიჩვენებს, რომ ჩვენ ვართ არაფერი და რომ ქრისტე არის  
ყველაფერი ჩვენთვის:
- ა. იერემია საუბრობს იმაზე, რომ ღმერთის სახლმშენებლობის შესრულებაში  
ქრისტე არის ჩვენი სამართლიანობა და ჩვენი გამოსყიდვა (23:5-6), რომ  
ღმერთი არის სათავე ცოცხალი წყლების (2:13), რომ ქრისტე არის ჩვენი  
საკვები (15:16) და რომ ქრისტე არის სინამდვილე ახალი აღთქმისა ყველა  
მის კურთხევასთან ერთად (31:31-34; ებრ. 8:8-12):

1. ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ახალი აღთქმა არის სინონიმი დმერთის სახლმშენებლობის, ვინაიდან ახალი აღთქმა არის შინაარსი და არსი დმერთის სახლმშენებლობის – იერ. 31:31-34; იობი 10:13; შდრ. ეფეს. 3:9:
  - ა) ახალი აღთქმის ყველა ძირითადი საკითხი არის შემადგენლობა დმერთის სახლმშენებლობის და მისი დარიგების, და ის მოიცავს თავის თავში დმერთის მიერ იურიდიულ გამოსყიდვასაც და დმერთის მიერ ორგაულ გადარჩენასაც, რათა გაგვაღმერთის ჩვენ ქრისტეს სხეულის ასაშენებლად, რომელიც მოიპოვებს დასრულებას ახალ იერუსალიმში.
  - ბ) მოციქულების მსახურება არის მსახურება დმერთის ახალი აღთქმის მსახურებისათვის; ეს არის ახალი აღთქმისეული მსახურება, და ის კონცენტრირებულია დმერთის სახლმშენებლობაზე – 1 ტიმ. 1:3-4; შდრ. 2 კორ. 3:3, 6.
2. მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ახალი აღთქმა არის გზა, რომლის მეშვეობითაც დმერთი ასრულებს, ანუ ახორციელებს, თავის სახლმშენებლობას; კორინთელთა მიმართ მეორე წერილში ნაჩვენებია, რომ ახალი აღთქმის მსახურება განკუთვნილია დმერთის მარადიული სახლმშენებლობის განსახორციელებლად – 2:12-4:1.
- ბ. ქრისტე არის სინამდვილე ახალი ანდერძის, ახალი აღთქმის, სინამდვილე ყველაფრის, რასაც წარმოადგენს დმერთი, და ყველაფრის, რაც მან მოგვცა ჩვენ, ამიტომ ქრისტე არის ახალი აღთქმა:
  1. არსებობს მრავალი პუნქტი ამ ანდერძისა, მაგრამ ყველა ეს მრავალრიცხოვანი პუნქტი ანდერძისა არის ფაქტიურად ერთი პიროვნება, პნევმატური ქრისტე – ესაია 42:6; 49:8; იერ. 31:31-34; ებრ. 8:8-12; იოანე 20:22; ეფეს. 3:8.
  2. ის, რაც უფალმა გვიანდერძა ახალ ანდერძში, ამოუწურავია, და ეს ყველაფერი განკუთვნილია ჩვენი მარადიული განცდისათვის და ტკბობისათვის სულის მეშვეობით – ებრ. 9:15.
  3. ჩვენ უნდა ვიაროთ ჩვენი წინაპრების ძეელი ბილიკებით, როდესაც დავდივართ ახალი აღთქმის გზით, რომელიც კონცენტრირებულია დმერთის სახლმშენებლობაზე, გზით, რომელსაც მივყართ სიცოცხლისაკენ; შემოვლითი გზები არის ბილიკები, რომლებიც წარმოადგენენ საგანის ზრახვებს მისი მაცდური ხრიკების თანახმად, რომლებიც მიდიან განადგურებისაკენ; შემოვლითი გზებით სიარული ნიშნავს ქვევით სვლას, ხოლო ძველი ბილიკებით, გაკვალული გზით, სიარული, ნიშნავს ზევით სვლას – იერ. 18:15; შდრ. მათე 7:13-14.
  4. ახალ აღთქმაში, მარადიულ აღთქმაში, დმერთი გვაძლევს ჩვენ ერთ გულსა და ერთ გზას (იერ. 32:39-41); ერთი გული არის გული, რომელშიც არის სწრაფვა, გვიყვარდეს დმერთი, ვეძებოთ დმერთი, ვიცხოვოთ დმერთი და შევდგეთ დმერთით, რათა ჩვენ ვიყოთ მისი გამოხატულება; ერთი გზა არის თვითონ სამერთიანი დმერთი,

როგორც სიცოცხლის შინაგანი კანონი მის დვთაებრივ  
შესაძლებლობასთან ერთად (31:33-34); ეს ერთი გული და ერთი გზა  
წარმოადგენს ერთმშვინვერებას (საქმე. 1:14; 2:46; 4:24; რომ. 15:6).

- გ. ამაღლებული და ტახტზე მჯდომი ზეცაში, ქრისტე ასრულებს ახლა ახალ  
ანდერძს, რომელიც მან გვიანდერძა ჩვენ როგორც აღთქმა, შუამდგომლობს  
ჩვენთვის და გვემსახურება ჩვენ, რათა ჩვენ გავაცნობიეროთ, განვიცადოთ  
და დავტკბეთ ყველაფერით, რაც გვიანდერძა ჩვენ ახალ აღთქმაში – ებრ.  
12:2; 7:25; 8:1-2:
1. ახალი აღთქმა, ახალი ანდერძი, ანდერძის მომცემის ნება, იყო  
დაკანონებული ქრისტეს სიკვდილით და ახლა ქრისტე თავის  
აღდგომასა და ამაღლებაში ასრულებს და ახორციელებს მას.
  2. ახალი ანდერძი მოგვეცა ჩვენ როგორც ახალი აღთქმა, და ახლა  
თავისი ზეციური მსახურების მისტიურ სფეროში, ქრისტე ასრულებს  
იმას, რაც მან გვიანდერძა.
  3. ქრისტე ახლა არის ზეცაში – ცოცხალი, დვთაებრივი და უნარიანი;  
მას შეუძლია ადასრულოს ახალი აღთქმა, ახალი ანდერძი, ყველა  
დეტალში, გახადოს ყველაფერი, რაც გვეანდერძა ჩვენ, მისაწვდომი და  
რეალური ჩვენთვის:
    - ა) როგორც დვთაებრივი მღვდელმთავარი, ქრისტე ასრულებს ახალ  
აღთქმას იმით, რომ შუამდგომლობს ჩვენთვის, ლოცულობს  
იმაზე, რომ ჩვენ ვიყოთ მიყვანილი ახალი ანდერძის  
სინამდვილეში – 7:25.
    - ბ) როგორც შუამავალი, აღმასრულებელი, ახალი ანდერის, ქრისტე  
თავის ზეციურ მსახურებაში ასრულებს ახალ აღთქმას და  
ახორციელებს ჩვენში ყველა პუნქტს, რაც გვიანდერძა ჩვენ – 8:6;  
9:15; 12:24.
    - გ) როგორც გარანტია ახალი აღთქმისა, ქრისტე არის საწინდარი  
იმისა, რომ ყველაფერი ახალ ანდერძში ასრულდება; ის  
გვაძლევს გარანტიას და უზრუნველყოფს ახალი ანდერძის  
ქმედითობას – 7:22.
    - დ) როგორც ჭეშმარიტი (ზეციური) სავანის მსახურს, ქრისტეს  
მოაქს ჩვენთვის ყველაფერი, რაც არის ნაანდერძევი, ყველა  
კურთხევა, ახალ აღთქმაში და ხდის ახალი ანდერძის ფაქტებს  
ქმედითად ჩვენს განცდაში – 8:2.
    - ე) როგორც დიადი მწევმისი ცხვრების, ქრისტე თავისი მწევმსობით  
ასრულებს ახალ იერუსალიმს დმერთის მარადიული ანდერძის  
თანახმად – 13:20.
  - დ. თუ ჩვენ გვინდა, რომ მივიღოთ ყველა კურთხევის გამოყენება ახალ  
ანდერძში, ჩვენ უნდა ვიყოთ ისინი, ვინც გამოეხმაურება ქრისტეს ზეციურ  
მსახურებას – 12:1-2; კოლ. 3:1:
    1. ზეცაში ქრისტეს მსახურება, რომელიც ასრულებს ახალ ანდერძს,  
მოითხოვს ჩვენს გამოძახილს – ებრ. 7:25; 4:16; 10:19, 22:

- ა) ასწლეულების განმავლობაში ქრისტე დიდი წარმატების გარეშე ცდილობდა, მოპოვებინა ადამიანების ჯგუფი, რომლებიც გამოეხმაურებოდნენ მის მსახურებას ზეცაში.
- ბ) უფლის წყალობითა და მადლით, დღეს დედამიწაზე არის ჯგუფი ადამიანებისა უფლის აღდგენაში, რომლებიც ეხმაურებიან ქრისტეს ზეციურ მსახურებას.
- გ) იმ დროს როდესაც თავი, ზეცაში მყოფი, შუამდგომლობს ჩვენთვის და გვემსახურება ჩვენ, ჩვენ, სხეული, დედამიწაზე მყოფი, ვეხმაურებით ქრისტეს ზეციურ მსახურებას, შევესაბამებით იმას, რასაც ის აკეთებს ახალი ანდერძის შესარულებლად, და ავირეკლავთ იმას, რასაც ის აკეთებს – ეფეს. 1:22-23; 4:15-16; საქმე. 6:4.
2. ჩვენ უნდა აგვეხილოს თვალი, რათა დავინახოთ ახალი აღთქმის, ახალი ანდერძის, ანდერძის მომცემის ნების ზეციური ხედვა, იმ ყველაფერთან ერთად, რაც მასში არის ნაანდერძევი – ეფეს. 1:17-18; საქმე. 26:18-19:
- ა) მამა ყველაფერს დაგვპირდა, ხოლო უფალმა იესომ ყველაფერი აღასრულა; ახლა ყველა აღსრულებული ფაქტი გახდა ჩვენთვის ანდერძად დატოვებული ნების პუნქტები – ლუკა 22:20; ებრ. 9:16-17.
- ბ) თუ ჩვენ გვექნება ზეციური ხედვა და ჩვენ დავინახავთ, რომ ღმერთის ყველა კურთხევა ანდერძად გვაქს დატოვებული, ჩვენ ვილოცებო არა როგორც საცოდავი მათხოვრები, არამედ როგორც დიდებული მემკვიდრეები, რომლებიც რწმენით დებულობენ ყველაფერს, რაც მათ დატოვებული აქვთ ანდერძად – რომ. 8:17; ეფეს. 3:6; ებრ. 6:17; 1:14.
- გ) თუ ჩვენ გვექნება ზეციური ხედვა ახალი აღთქმის, ახალი ანდერძის, ჩვენი წარმოდგენა შეიცვლება, ჩვენში მოხდება საფუძვლიანი ცვლილება და ჩვენ იმ დონემდე გაქებო უფალს, რომ ადარ ვიქნებით ჩვენს თავებში – 2 კორ. 5:13; გამოცხ. 5:6-13.
- ქ. რათა განვმარტოთ ნათქვამი იერ. 31:31-34-ში, ჩვენ გვჭირდება ახალი აღთქმის ყველა ოცდაშვიდივე წიგნი:
1. თუ ჩვენ გავიგებოთ ამ ნაწყვეტს მთელი ახალი აღთქმის სინათლეში, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ახალ ანდერძში ჩვენ გვაქვს ეკლესია, ღმერთის სამეფო, ღმერთის ოჯახი, ღმერთის სახლეული, ღმერთის სახლი როგორც ღმერთის საცხოვრებელი ჩვენს სულში, ახალი კაცი და ქრისტეს სხეული როგორც სისავსე გამზადებული და დასრულებული სამერთიანი ღმერთისა.
  2. და ბოლოს ეს ახალი ანდერძი მოიტანს ათასწლეულს; საბოლოოდ და დასრულებული სახით, ის მოიტანს ახალ იერუსალიმს ახალ ზეცასა და ახალ მიწაზე მარადისობისათვის.